„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“

ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიგრაცია ციფრულ საეთერო პლატფორმაზე - მდგომარეობის ანალიზი და გამოწვევები

ივნისი, 2014

ავტორები:
უჩა სეთური
ნათია კუპრაშვილი

კვლევა მომზადდა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ პროექტის **"ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა"**ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას.

წინამდებარე კვლევაზე ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) საავტორო უფლებები. დაუშვებელია კვლევის ან კვლევის ნაწილის გამოყენება კომერციული ან სხვა მიზნებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ნებართვის გარეშე.

© ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2014 წელი. ყველა უფლება დაცულია

შინაარსი

1. შესავალი 3
2. სიხშირული რესურსის განაწილების პრობლემები 5
3. სავალდებულო დაშვების რეგულაციები 11
4. პარალელური მაუწყებლობის პრობლემები 14
5. ტარიფები და მოსაკრებელი 15
6. მოსახლეობის მზაობის პრობლემა 17
7. ძირითადი მიგნებები 21
8. რეკომენდაციები 21

1. შესავალი

2013-2104 წლები იყო გარდამტეხი პერიოდი საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის განსაზღვრისათვის. მიუხედავად ევროპელი ექსპერტების შეფასებებისა,[1] რომლებიც სიხშირული სპექტრის ეფექტური გამოყენების მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ, სახელმწიფო სტრატეგიაში მოხდა ადგილობრივი და რეგიონული მედიის ინტერესების გათვალისწინება. ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ მიიღო აქტიური მონაწილეობა საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში; ორგანიზაციამ წარმოადგინა შესაბამისი კვლევები და რეკომენდაციები,[2] რომლებიც აისახა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებში.[3]

გასათვალისწინებელია, რომ ახალ ტექნოლოგიური პლატფორმაზე მიგრაციისას, ფინანსური და სხვა სახის პრობლემების გამო, ბაზრიდან გასვლის რისკები პირველ რიგში ადგილობრივ და რეგიონულ ანალოგურ მაუწყებლებს ემუქრებოდათ. ამ საკითხების პრევენციის მიზნით მოხდა IDFI-ს მუშაობის გააქტიურება, ორგანიზაციამ განახორციელა კვლევები ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიმართულებით, რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო.

2013 წლის 30 აგვისტოს ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესთავაზა რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლების ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის პროექტი.[4]

IDFI-ს სტრატეგია ემყარებოდა აშშ-სა და უკრაინის გამოცდილებას და მასში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები საქართველოს მედია ბაზრის მდგომარეობის შესაბამისად. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაითვალისწინა წარდგენილი რეკომენდაციები და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიაში გაითვალისწინა აშშ-ს რეგიონული მედიის გაციფრულების მოდელი. სტრატეგიაში განსაზღვრული რეგულაციის მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას დაევალა, გარკვეული ფორმალური პირობების დაცვით, უსასყიდლოდ გადაეცა ლიცენზიები იმ მაუწყებლებისათვის, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს, არსებული ანალოგური ლიცენზიის ნაცვლად მიეღოთ ციფრული საეთერო ქსელის აგების უფლება და შესაბამისად ლიცენზია სიხშირეზე.

---

[1] შენიშვნა : ევროპელ ექსპერტებში მოიაზრება EBRD-ის და DIGITA-ს ექსპერტები, რომლებიც ეხმარებოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

[2] იხ. <https://idfi.ge/ge/category/researches/media>.

[3] იხ. <http://economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi >.

[4]იხ. <https://idfi.ge/ge/research-41>.

IDFI-მ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესთავაზა შემდეგი პირობები რეგიონული და ადგილობრივი ანალოგური მაუწყებლების მხარდაჭერისთვის:

- მცირე არეალისთვის განკუთვნილი ციფრული სიხშირის გამოყოფა შესაბამისი სამოქმედო ზონის შესაბამისად საკუთარი ციფრული საეთერო მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ასაგებად და მაუწყებლობისათვის;
- მინიმალურ სტანდარტად განისაზღვრა DVB-T2 და MPG 4 კომპრესიის სტანდარტებზე დაბალი სტანდარტის შემოღება,[5] რაც განპირობებული იყო ქსელის აგების სიიაფის და ადგილობრივი პროგრამების ნაკლებობით. საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული სტრატეგიით ადგილობრივ მულტიპლექს პლატფორმებს ოპერირების უფლება მიენიჭათ DVB-T სტანდარტის და MPG-4 კომპრესიის პარამეტრებით;

ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სტრატეგია მოიცავდა ადგილობრივი მულტიპლექს ოპერატორების ვალდებულების განსაზღვრას ოპერირების ლიცენზიის გაცემისას, რომლის მიხედვითაც მათ დაევალებოდათ მათი ქსელის თავისუფალ რესურსთან დაშვება ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფით და არადისკრიმინაციული პირობებით.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2014 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული სტრატეგია[6], რომელიც მოიცავდა ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმას და შესაბამის რეკომენდაციებს. სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ მიზნებად განისაზღვრა:

- გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა;
- სამაუწყებლო ბაზრის, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის განვითარების წახალისება;
- საეთერო სამაუწყებლო ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანა;
- შეზღუდული ბუნებრივი რესურსის - რადიო სიხშირეების მაღალ ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობა;
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება ალტერნატიული საეთერო ციფრული მიწისზედა მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების ხელშეწყობის გზით;
- მრავალფეროვან და მაღალხარისხიან საეთერო სამაუწყებლო კონტენტზე მომხმარებელთა წვდომის უზრუნველყოფა;
- საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების განვითარება და დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

---

[5] შენიშვნა: აღნიშნული სტანდარტი მინიმალურ პარამეტრებად არის განსაზღვრული ეროვნული დაფარვის ციფრული საეთერო მაუწყებლობის მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორებისთვის.
[6] იხ. <http://economy.ge/ge/media/news/cifrul-miwiszeda-satelevizio-mauwyeblobaze-gadasvlis-samoqmedo-gegma-da-rekomendaciebi>.

სტრატეგიაში განსაზღვრულია, რომ **ქვეყნის მიზანია, ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლისას მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ინტერესები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტელემაუწყებლობის ბაზრის შემდგომ განვითარებას.**

2. სიხშირული რესურსის განაწილების პრობლემები

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების საკითხის გადაწყვეტისთვის წარმოადგენდა სიხშირული რესურსის გამოყოფა რეგიონული მედიისათვის. აღნიშნულის გამო პირველ რიგში უნდა შევეხოთ სიხშირული რესურსის და მისი განაწილების ვადების საკითხს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2015 წლის 17 ივნისის ანუ ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდეგ VHF III, კერძოდ 174-230 მჰც სიხშირულ დიაპაზონში არსებული რესურსი გამოიყო ადგილობრივი (DVB-T ან T2 სტანდარტის) მცირე სიმძლავრის გადამცემებით მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რეკომენდაციების მიხედვით, ადგილობრივი მაუწყებლების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, რომლებიც მცირე სამაუწყებლო ზონაში ვრცელდებიან, შეთავაზებული იქნება VHF III სიხშირულ დიაპაზონში არსებული რადიოსიხშირული რესურსი ადგილობრივი (DVB-T ან T2 სტანდარტის) მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ციფრული სამაუწყებლო ზონის ფარგლებში VHF III დიაპაზონში ხელმისაწვდომი სიხშირეები არასაკმარისი იქნება ოპტიმალური ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის, ხოლო შესაბამის ციფრულ სამაუწყებლო ზონაში არსებობს თავისუფალი UHF რესურსი, დამატებით გამოყენებული იქნება 470-694 მჰც დიაპაზონში არსებული შესაბამისი რესურსი, ისევე როგორც შესაძლებელია გამოყენებული იყოს VHF III დიაპაზონში ჟენევა–06 გეგმით გაუთვალისწინებელი სატელევიზიო არხები.

რეკომენდაციების მიხედვით ამ კატეგორიის ადგილობრივი მაუწყებლებისათვის სიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება უსასყიდლოდ და ხელმისაწვდომი იქნება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2014 წლის 11 ივნისს გამოაქვეყნა იმ თავისუფალი სიხშირული რესურსის სია[7], რომელიც ადგილობრივ მაუწყებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში იმ შემთხვევაში, თუ მათ მულტიპლექს

[7] გამოქვეყნებული სია იხ. <http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115453> - ბოლო ნახვა 14 ივნისი.

პლატფორმის აგების სურვილი ექნებათ. საგულისხმოა, რომ 26 ანალოგური ზონის მიხედვით დოკუმენტში ასახულია მხოლოდ VHF არხები, **კომისია არ მიუთითებს თავისუფალ UHF რესურსზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტრატეგიის მიხედვით.** სავარაუდოა, რომ აღნიშნული კატეგორიის სიხშირეების სია ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული დაფარვის კომერციული მულტიპლექს ოპერატორის შესარჩევი კონკურსის დასრულების შემდგომ.

IDFI-მ 2014 წლის 10 ივნისს N20140603 წერილით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და რეკომენდაციების[8] შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, რეგიონული და ადგილობრივი მაუწყებლის მიერ 2014 წლის მაისის ბოლომდე შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში, ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭება.

რიგი ობიექტური მიზეზების, პირველ რიგში კი, სიხშირული რესურსის შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო,[9] განაცხადების წარდგენა იყო შეუძლებელი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამ აქტივობისათვის განსაზღვრული დროის სიმცირის გამო, ვერ მოხდა რეგიონული მაუწყებლებისათვის ადგილობრივი საეთერო ციფრული მულტიპლექს პლატფორმებისათვის გამოყოფილი სიხშირეების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ასევე სხვა საჭირო ინფორმაციის გაცვლა მაუწყებლებისა და მარეგულირებელ კომისიას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის აპრილში, მარეგულირებელ კომისიაში გამართულ შეხვედრაზე დამსწრე დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღეს პირობა კომისიისაგან, რომ აღნიშნული ვადა გაგრძელდებოდა გონივრული პერიოდით და დაინტერესებულ მხარეებს მიეცემოდათ შესაძლებლობა წარედგინათ განაცხადები, როგორც ლიცენზიების მისაღებად, ასევე სხვა დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2014 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმით და შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრული ვადა (2014 წლის მაისი) უნდა გაგრძელდეს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიის დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობებს ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, კერძოდ:

---

[8] იხ. შენიშვნა N5;

[9] შენიშვნა: სიხშირეების შესახებ ინფორმაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინტერნეტ გვერდზე ხელმისაწვდომი გახდა 2014 წლის 11 ივნისს.

- ადგილობრივი მაუწყებელი ინარჩუნებს მხოლოდ სამაუწყებლო (კონტენტის შექმნის და აგრეგაციის) საქმიანობის უფლებას, ხოლო მის მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტი ღია ეთერში ვრცელდება ციფრულ მიწისზედა საეთერო სამაუწყებლო მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორის მიერ, შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ **(პირველი კატეგორია).**
- ადგილობრივი მაუწყებლები ახდენენ საკუთარი ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის მშენებლობას ანალოგური ლიცენზიით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით, მათ მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის ღია ეთერში გასავრცელებლად **(მეორე კატეგორია).**

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს მეორე კატეგორიის მაუწყებლებისათვის ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის უსასყიდლოდ მინიჭებას, შემდეგი დათქმით:

- თუ ერთი და იგივე ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, კომისია განაცხადის წარდგენის შემდგომ უზრუნველყოფს ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭებას.
- თუ ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთზე მეტი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველყონ ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, კომისია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას უსასყიდლოდ და ღია კონკურსის გარეშე მიანიჭებს არსებულ ადგილობრივ საეთერო მაუწყებელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით,[10] ამგვარ ადგილობრივ ზონად განისაზღვრა 26 ზონა: **ბათუმი, ოზურგეთი, თბილისი, ზესტაფონი, სამტრედია, საჩხერე, ქუთაისი, ჭიათურა, ხონი, გურჯაანი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ახალციხე, ბორჯომი, ბოლნისი, მანგლისი, მარნეული, რუსთავი, გორი, ხაშური**.

26 ზონიდან, მხოლოდ 5 ზონაში არის ერთზე მეტი მაუწყებელი. კონსორციუმის მიერ განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს შემდეგ ქალაქებში:

1. **ბათუმი: შპს "ტელეარხი 25", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)**

2. **თბილისი: შპს "იბერია", შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", შპს "სტუდია**

[10] იხ. <http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115453>; უკანასკნელი ნახვა 14 ივნისი.

მაესტრო", შპს ტელეკომპანია ”კავკასია”, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა), შპს "ტელეკომპანია პიკ", შპს ”ჯი-დი-ეს თი-ვი”, შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“, შპს ტელეკომპანია „თბილისი“;

3. ქუთაისი: შპს ტელერადიოკომპანია ”რიონი”, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი" (ტაბულა);

4. სენაკი: შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია "ეგრისი", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა);

5. გორი: შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი", ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა).

თბილისის ადგილობრივ ზონაში 9 ტელეარხი მაუწყებლობს. აღნიშნულ ციფრულ ზონაში DVB-T2 სტანდარტის მულტიპლექს პლატფორმის მშენებლობა უალტერნატივოა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში DVB-T სტანდარტის ქსელიც საკმარისია, თუმცა სასურველია გაიმართოს კონსულტაცია თბილისში თავმოყრილ მაუწყებლებთან, კონტენტის გაცვლის ან/და რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების სიმძლავრის გამოყოფის მიზნით.

აღნიშნული კატეგორიის მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორების ბიზნეს მოდელის და მათი საქსელო გადაწყვეტის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ლოკალური არხების მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის არსებობა, კერძოდ იმის შესახებ, თუ რა სიმძლავრის ანუ რამდენ არხიანი სამაუწყებლო ქსელი უნდა იყოს აგებული მათ მიერ. თავის მხრივ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმ ფასების შედარებაზე, რომელსაც შესთავაზებს შპს "მუქსი" და რეგიონული მაუწყებლები.

მათგან თბილისს გარეთ ზონებში მეორე მაუწყებლად ყველგან გვევლინება ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“, რომლის ლიცენზიის ფარგლებში მაუწყებლობს ტელეარხი „ტაბულა“ . აღნიშნული ტელეკომპანიის სიგნალი დღეს საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს ფარავს, შესაბამისად, შესაძლოა, რომ მისთვის არ იყოს საინტერესო ლოკალურ მულტიპლექს პლატფორმებში თანხის ინვესტირება და მისი შემდგომი მენეჯმენტი, ხოლო სიგნალის გავრცელებისათვის შესაძლოა გამოიყენოს ეროვნული დაფარვის მულტიპლექს პლატფორმა.

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად საჭირო რადიოსიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან ორი თვის განმავლობაში.

ადგილობრივი მაუწყებელი/ან მათი გაერთიანება, ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების აგების შემთხვევაში, ვალდებული იქნება შესაბამისობაში მოიყვანოს ციფრულ ტექნოლოგიაზე მომუშავე გადამცემი სადგურების გასხივების სიმძლავრეები (ERP) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რადიოსიხშირული

დაგეგმარების ტექნიკურ მახასიათებლებთან. სამწუხაროდ, კომისიას დღემდე არ გამოუქვეყნებია გეგმა რეგიონული მულტიპლექს პლატფორმებისთვის **მისანიჭებელი სიმძლავრეების შესახებ,** რაც დააზარალებს რეგიონული არხების ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკურ დაგეგმარებას. სასურველია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაქსიმალურად დროულად გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადგილობრივ ზონაში ჩამოყალიბდა მაუწყებელთა ერთზე მეტი გაერთიანება (და/ან რომელიმე ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, მისი სურვილის მიუხედავად, ვერ გაერთიანდა შესაბამის ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ღია კონკურსის წესით, განახორციელებს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის გაცემას.

სამწუხაროდ არც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიაში და არც კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში საუბარი არ არის ისეთ რეგიონებთან დაკავშირებით, სადაც არ მაუწყებლობს არც ერთი ადგილობრივი არხი. ასეთია უმეტესად საქართველოს მაღალმთიანი რაიონები: **რაჭა-ლეჩხუმი, ხევსურეთი და ზემო სვანეთი**, სადაც არ გამოირიცხება ადგილობრივი მაუწყებლობის მსურველის არსებობა, მით უფრო ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის პარალელურად, რომლის შედეგად, მაგალითად, ამბროლაური უკვე იქცა თვითმმართველ ქალაქად, რომელსაც ჰყავს არჩეული მერი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ, სამაუწყებლო სიხშირეების გარკვეულ ნაწილზე, მოახდინოს შეთავაზების განთავსება მსურველი პირებისთვის.

ასევე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ როგორი იქნება სახელწიფოს ხედვა ე.წ. ,,ჩრდილოვან სამაუწყებლო ზონებთან“ დაკავშირებით, კერძოდ, იმ კონკრეტულ სოფლებთან და დაბებთან მიმართებით, რომლებიც ანალოგური მაუწყებლობის ზონებში აქამდეც იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ, სადაც მაუწყებლობის მიღება აქამდე იყო შეუძლებელი. მნიშვნელოვანია, შესაბამის ზონაში მაუწყებელი კომპანიებისთვის, თუ ისინი გადაწყვეტენ საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართვას, გამოიყოს რეტრანსლირების და სარელეო სიხშირეები ასეთი ზონების დასაფარად.

ასევე საყურადღებოა, რომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის 20 თებერვალს ცვლილებები შევიდა "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონის[11] 50-ე პრიმა მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა თავისუფალი რადიოსიხშირული რესურსის არსებობისას, კომისიის ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, კონკურსის გამოცხადების და კონკურსში გამარჯვებულის

[11] მუხლი 50[1]. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მიღების საფუძველი.

გამოვლენის შედეგად. კანონის აღნიშნული ჩანაწერი უფასოდ მინიჭების პროცედურას არ ითვალისწინებს. საჭიროა ცვლილებების შეტანა კანონში ამ მიმართულებით.

საყურადღებოა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობა მკაფიოდ არ ახდენს ეროვნული და რეგიონული მაუწყებლების გამიჯვნას და აღნიშნული მინდობილია მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინტერპრეტირებას.

დოკუმენტში წარმოდგენილი თბილისს გარეთ მაუწყებელი არხები, ფორმატების მიხედვით შეგვიძლია დავყოთ ორ ტიპად:



სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად საჭირო რადიოსიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან ორი თვის განმავლობაში.

ყველა ადგილობრივ არხს, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადაწყვეტილების მისაღებად - სურთ თუ არა საკუთარი რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების გამართვა, გაუგრძელა გადაწყვეტილების მიღების ვადა (მთავრობის სტრატეგიის მიხედვით ვადად 2014 წლის 1 მაისი იყო განსაზღვრული), თუმცა დღემდე აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ დოკუმენტი არ გამოუქვეყნებია, ასევე არ არის დაკონკრეტებული საბოლოო ვადა.

3. სავალდებულო დაშვების რეგულაციები

სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი მაუწყებლის/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების მიერ ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ღია საეთერო ან/და მომხმარებელთათვის უფასო კოდირებული ფორმატით, საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების გავრცელება.

რადიოსიხშირული რესურსის მფლობელმა ადგილობრივმა მაუწყებელმა/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებამ, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ თავისუფალ რესურსთან მსურველი (საქართველოს ფარგლებში ავტორიზებულ) მაუწყებლების არადისკრიმინაციული დაშვება. თუმცა ამ კონტექსტში გარკვეულ დისკრიმინაციას აქვს ადგილი. ეროვნული დაფარვის უფასოდ ტრანსლირებადი მაუწყებლებისათვის დადგენილი პირობების ანალოგიურად, ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვისაც დასაშვები უნდა იყოს ფასიანი სატელევიზიო კონტენტის განთავსება რეგიონულ მულტიპლექსორში, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ იქნება მოთხოვნა დაშვებაზე მათი მულტიპლექსორების თავისუფალ რესურსთან უფასოდ ტრანსლირებადი არხების მხრიდან.

იმ შემთხვევაში, თუ დაშვებული არ იქნება ფასიანი მომსახურების შეთავაზება მომხმარებლისთვის, ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების გამოუყენებელი რესურსი სიხშირეების ეფექტური გამოყენების ვალდებულების დარღვევის გარდა, ჩამოყალიბებული მიდგომა ეკონომიკურად არა მდგრადს ხდის რეგიონული მაუწყებლების მულტიპლექსორების ბიზნეს მოდელს.

ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, DVB-T სტანდარტი და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2 ან MPEG4 ტექნოლოგია, იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სტანდარტით აგებული ადგილობრივი მიწისზედა ციფრული სამაუწყებლო ქსელი, ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში გაერთიანებული, ყველა მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამის სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატში გავრცელების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ჩანაწერი, იმ ადგილობრივი მაუწყებლობის ზონებში, სადაც სამი ან მეტი ადგილობრივი კონტენტის მწარმოებელია, სტანდარტული დეფინიციის კონტენტის გასავრცელებლად ადეკვატური სტანდარტის და სიმძლავრის მულტიპლექს პლატფორმა უნდა შეიქმნას.

საქართველოს მთავრობის რეგულაციის მიხედვით ყველა საეთერო ლიცენზიის მფლობელს, რომელსაც არ მიენიჭება უფასოდ და/ან კონკურსის წესით ვერ მოიპოვებს ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას, ენიჭება ე.წ. must carry - სავალდებულო დაშვების ანუ სიგნალის გავრცელების უფლება.

ამ რეგულაციის მიუხედავად, გასარკვევია რამდენიმე საკითხი. პირველ რიგში კი, ადგილობრივი მაუწყებლების სავალდებულო გატარების უფლება ეროვნული მულტიპლექს ოპერატორებს მიერ. შესაძლო პრობლემები ჩამოყალიბებულია კითხვაში, რომელზე პასუხებიც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 20 მაისს გამოაქვეყნა.[12]

დასმულ შეკითხვაზე: *თუ, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მოცულობა შევსებულია ეროვნული საეთერო მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამებით და ქსელთან დაშვების სურვილი გამოთქვა ადგილობრივმა მაუწყებელმა, № MUXA ლიცენზიის მფლობელს წარმოეშვება, თუ არა ვალდებულება ქსელში გაუშვას ადგილობრივი მაუწყებლის სიგნალი?*

თუ №MUX-A ლიცენზიის მფლობელს, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში დაშვების მოთხოვნით, ერთდროულად მიმართა ეროვნულ–საეთერო მაუწყებელმა და ადგილობრივმა მაუწყებელმა, თუმცა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლებელია მხოლოდ ერთ–ერთი მათგანის კონტენტის გავრცელება, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, თუ არა უპირატესობა მიანიჭოს ადგილობრივ მაუწყებელს?

მარეგულირებელი კომისიის მხრიდან დაფიქსირდა შემდეგი პასუხი *- როგორც თქვენთვის ცნობილია, ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე მიგრაციის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლის 20 თებერვალს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც განსაზღვრავს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გაცემის წესებს და ლიცენზიის მფლობელთა ზოგად უფლებებსა და ვალდებულებებს.*

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული მიწისზედა მაუწყებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების ჭრილში ახლებურად უნდა დამუშავდეს მაუწყებელთა ავტორიზაციის, ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო ქსელში მაუწყებელთა დაშვების (ასევე, სავალდებულო დაშვების), კონცენტრაციის აკრძალვისა და სავალდებულო ტრანზიტის საკითხები, რათა 2015 წლის 17 ივნისის შემდგომ ადეკვატურად დარეგულირდეს მაუწყებელთა სამაუწყებლო ბაზარზე და ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში დაშვებასთან დაკავშირებული საკითხები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იგეგმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც, ზემოთ განსაზღვრული საკითხების გათვალისწინებით და ყველა

---

[12] იხ. <http://www.gncc.ge/files/2100_115141_247252_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94%20_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98_%20_4_.pdf >; ბოლო ნახვა 14 ივნისი, 2014 წ.

დაინტერესებული პირის მონაწილეობით, განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტების მომზადება, საჯარო კონსულტაციების წარმართვა და დასარეგულირებელი საკითხების მიმართ ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბება.

*შესაბამისად ყველა საკითხი (რომელიც მოიცავს, როგორც **ღია საეთერო ქსელში მაუწყებლების დაშვების** წესებს/პირობებს და იმ მაუწყებლების **განსაზღვრას**, რომელთა **სავალდებულო დაშვება** და **ღია ეთერით** (არა-კოდირებული ფორმით) გავრცელებაც უნდა უზრუნველყოს, პირველ რიგში, შესაბამისი ციფრული მიწისზედა ქსელის ოპერატორმა, ისევე როგორც ქსელის ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი რესურსის მართვის საკითხებს) უახლოეს მომავალში (საჯარო კონსულტაციების წარმოების შემდგომ) დარეგულირდება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო ლიცენზიის მფლობელი კი ვალდებული იქნება უზრუნველყოს შესაბამისი კანონისმიერი ვალდებულების შესრულება".*

სამწუხაროდ, შესაბამისი ერთობლივი კომისია, რომელიც იმუშავებს სავალდებულო გატარების ვალდებულებების რეგულაციების განახლებაზე, დღემდე არ არის შექმნილი. საკითხის ბუნდოვანება ასევე აფერხებს რეგიონული ტელევიზიების ბიზნეს მოდელის განსაზღვრას.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყო ის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია IDFI -ის კვლევაში ,,რეგიონული მაუწყებლების ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგიაში":

,,საქართველოში დაგეგმილი ბიზნეს მოდელის პირობებში, შესაძლოა, საუკეთესოდ მივიჩნიოთ იტალიის მოდელი, რომლის შესაბამისად, კერძო მაუწყებლებისათვის, განსაზღვრულია მულტიპლექსორის სიმძლავრის 40%-იანი კვოტა, ჩამოთვლილია ის პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას ამ მაუწყებელმა. იმისათვის, რომ მოხდეს არხის განთავსება მულტიპლექსორში, აუცილებელია მინიმუმ ორი კრიტერიუმის ერთობლივი დაკმაყოფილება:

- საინფორმაციო და სადისკუსიო პროგრამების წარმოება;
- გასართობი - პირდაპირ ტრანსლირებადი სპორტული, საზოგადოებრივი, კულტურული და ა.შ;
- შემეცნებითი ხასიათის - ისტორიული, კულტურული, სამეცნიერო, მუსიკალური და ა.შ.;
- მხატვრული პროგრამები, ფილმები და ასევე ბავშვებზე და მოზარდებზე გათვლილი პროგრამები).

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მაუწყებელს, რომლის პროგრამებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს".

4. პარალელური მაუწყებლობის პრობლემები

საქართველოს მთავრობის სტრატეგიის მიხედვით, რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი ადგილობრივი მაუწყებელი/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ვალდებული იქნება უზრუნველყოს ადგილობრივი მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება 2016 წლის 1 მარტამდე. მინიჭებული სიხშირული რესურსის გამოყენება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მაუწყებელს/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებას სიხშირული რესურსის გამოყენების უფლება ექნება მხოლოდ ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, ადგილობრივ მაუწყებელ/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ოპერატიულად მოქმედების შემთხვევაში, შეძლებს, 2015 წლის 17 ივნისამდე განახორციელოს ქსელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა მოსამზადებელი სამუშაო და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვიდან უმოკლეს ვადაში ექსპლუატაციაში გაუშვას ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმა.

სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, პარალელური მაუწყებლობის პერიოდი უნდა მოიცავდეს არანაკლებ სამთვიან პერიოდს, 2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 17 ივნისამდე. საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმა, რომელსაც აქვს ეროვნულ დონეზე ერთი და იგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობა, პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, ალტერნატიული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებამდე, უზრუნველყოფს იმ ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების გავრცელებას, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ მხოლოდ სამაუწყებლო საქმიანობა და უარს განაცხადებენ საკუთარი ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის მშენებლობისათვის სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე. მოცემულის გათვალისწინებით, ამგვარი ადგილობრივი მაუწყებლების მიერ წარმოებული ტელეპროგრამების გავრცელება პარალელური მაუწყებლობის პერიოდში განხორციელდება (უსასყიდლოდ) საქართველოს მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილებით, მულტიპლექს A ლიცენზიის მფლობელმა ოპერატორმა ქსელის ექსპლუატაციაში გაშვება უნდა უზრუნველყოს 2015 წლის 17 ივნისამდე, ხოლო დაშვების მსურველი მაუწყებლების განთავსება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2015 წლის 30 ივნისამდე. 2015 წლის 17 ივნისამდე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელება უნდა უზრუნველყოფილი იყოს შპს "საქართველოს ტელერადიო ცენტრის" 42 ძირითადი გადამცემი ქსელის ფარგლებში. დასახლებული ტერიტორიის მოცვისათვის დამატებითი საიტების აგება და დაფარვა ჩრდილოვანი ზონებისათვის, უნდა დასრულდეს 2016 წლის 1 იანვრამდე.

საყურადღებოა, რომ თუ ამგვარ ჩრდილოვან ზონებში მოყვება ადგილობრივი ტელევიზიის გავრცელების არეალი, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მაუწყებელი ამოირჩევს

მულტიპლექს A-ს ოპერატორის ქსელით გავრცელების ალტერნატივას, მისი მაყურებელი შესაძლოა ადგილობრივი კონტენტის გარეშე დარჩეს 2016 წლის იანვრამდე.

იმ კონტექსტში, რომ MUX A-ს კონკურსი ვერ შედგა, ამ გეგმის რეალიზაცია საფრთხის ქვეშ დგას და შესაბამისად რეგიონული მედია საშუალებები, თუ ვერ მოხდება აღნიშნული ქსელის დროული დასრულება, 6 თვიანი პერიოდით იძულებულნი იქნებიან შეწყვიტონ მაუწყებლობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიქმნას ე.წ. ,,ფანჯარა" ადგილობრივი არხების ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადართვის პერიოდში (სიმულქასთის დროს). **იმისთვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ასეთ შემთხვევაში არ დარჩეს ადგილობრივი მაუწყებლობის გარეშე, სასურველია არა სასაზღვრო ზონებში არსებულ მაუწყებლებს მიენიჭოთ უფლება, ციფრულ პლატფორმის სრულად გამორთვამდე მაუწყებლობას განახორციელებენ ანალოგური მაუწყებლობით.**

პარალელური მაუწყებლობის პერიოდში ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში განთავსების უფლების მქონე ზემოაღნიშნული მაუწყებლები, ვალდებულები იქნებიან საკუთარი ხარჯებით მიაწოდონ („საზოგადოებრივი") ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის შესაბამის ელემენტს (ე.წ. „Head end"-ს) სტანდარტული გარჩევადობის სატელევიზიო სიგნალი არა მოდულირებული და არა შემჭიდროებული ფორმით, ისევე, როგორც ელექტრონული პროგრამების გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის შესაბამისი ნუსხა XML ფორმატში.

სასურველია კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სიგნალის მიწოდების ვალდებულების ნაწილში არ გაიმეოროს სავალდებულო ტრანზიტის რეგულაციის პირობებში დანერგილი პრაქტიკა, რითაც სიგნალის მისატანად დადგენილი გართულებული ტექნიკური სპეციფიკაციების გამო, დღემდე ვერ ხერხდება მაუწყებელთა ჩართვა არაერთი ოპერატორის მიერ.

5. ტარიფები და მოსაკრებელი

არსებული საეთერო მაუწყებლების უმრავლესობა ფლობს ლიცენზიებს, რომელთა მოქმედების ვადაც სცილდება ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვისათვის დადგენილ თარიღს (2015 წლის 17 ივნისს), ხოლო ლიცენზიის მფლობელთა დიდ ნაწილს კი სალიცენზიო გადასახდელი სრულად ან ნაწილობრივ (თუმცა 2015 წლის 17 ივნისის შემდგომი პერიოდის გათვალისწინებით) აქვთ გადარიცხული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვალის განკარგულება №206-ის შესაბამისად **(ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების თაობაზე),**[13] ანალოგური საეთერო ტელე-მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებს, რომელთაც გადახდილი აქვთ სალიცენზიო გადასახდელი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა აუნაზღაურდეთ ლიცენზიაში გადახდილი

[13] განკარგულება იხ. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2250672&lang=ge>.

შესაბამისი თანხის ნაწილი, წლების პირდაპირპროპორციულად, ანალოგური მაუწყებლობის გათიშვისათვის დადგენილი თარიღიდან მათი კუთვნილი ლიცენზიის ვადის გასვლამდე დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით.

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, დღემდე არ არის ცნობილი, როდის და რა ფორმით უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების გამოყოფას. მეტიც, ,,საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ წევრი კომპანიების ინფორმაციით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია იმ მაუწყებლებს, რომლებსაც აქამდე არ გადაუხდიათ 2017 წლის შემდგომი სალიცენზიო გადასახადი, აფრთხილებს შესაძლო სანქციების თაობაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 მარტის N176/10 გადაწყვეტილების შესაბამისად რეგიონული დაშვების, ეროვნული დაფარვის მულტიპლექს A-ს ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე, არაუგვიანეს 2015 წლის 17 მაისისა, ოპერატორი საკუთარ ინტერნეტ გვერდზე აქვეყნებს მოწვევას ოფერტზე, რომელიც ასევე წარედგინება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

აღნიშნული მოწვევა ოფერტზე უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

- ყველა ადგილობრივ სამაუწყებლო ქვეზონაში სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერითა და მომხმარებლებისათვის უფასოდ კოდირებული ფორმით სატელევიზიო კონტენტის 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი (რომელიც უნდა მოიცავდეს 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების (სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების) ყველა ხარჯს ერთი კალენდარული თვის პერიოდში, გარდა მაუწყებლის სტუდიიდან ქსელში დაშვების წერტილამდე (Head-end) სიგნალის მიწოდების ტარიფისა),
- თითოეულ ადგილობრივ სამაუწყებლო ქვეზონაში სატელევიზიო სიგნალის მიწოდების კოორდინატები;
- სატელევიზიო სიგნალისა და ელექტრონული გზამკვლევისათვის (EPG) სატელევიზიო გადაცემათა პროგრამების მიწოდების ტექნიკური პარამეტრები.

სამწუხაროდ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მულტიპლექს A ოპერატორისთვის სავალდებულოდ არ გახადა ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისთვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფის მითითება საკონკურსო წინადადებაში, იმის მიუხედავად, რომ ამგვარი დათვლის არარსებობის შემთხვევაში კონკურსანტი ვერც საერთო ტარიფს გამოითვლიდა. კომისიამ შესაბამის კითხვას ასე უპასუხა:

კითხვა -№MUX-A ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, თუ არა ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისათვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფები მიუთითოს საკონკურსო წინადადებაში, თუ შესაძლებელია მათი დადგენა ლიცენზიის მოპოვების შემდეგ?

პასუხი - №MUX-A ლიცენზიის მაძიებელი კონკურსის ფარგლებში ვალდებულია მიუთითოს მულტიპლექს პლატფორმაში სატელევიზიო კონტენტის ***მხოლოდ ეროვნულ დონეზე*** (ანუ

ყველა ადგილობრივ ქვეზონაში ერთობლივად) ღია ეთერით (ასევე მომხმარებლებისათვის უფასოდ კრიპტო-კოდირებული ფორმით) 1მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ზედა(მაქსიმალური) ტარიფი ლარში დღგ-ს გარეშე; რაც შეეხება ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისათვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფებს, №MUX-A ლიცენზიის მფლობელი ქსელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე 4 კვირით ადრე ვალდებულია წარუდგინოს კომისიას და გამოაქვეყნოს საკუთარ ვებ–გვერდზე მოწვევის ოფერტი, სადაც განსაზღვრული იქნება ***ყოველ ადგილობრივ სამაუწყებლო ქვეზონაში*** (ცალ-ცალკე) სატელევიზიო კონტენტის 1 მგბ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიური ტარიფი".[14]

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად ქსელის აგებისთვის გამოცხადებულ კონკურსში ორი კომპანია ,,სტერეო +“ და ტელეკომპანია ,,რუსთავი2-ის მიერ დაფუძნებული კომპანია შპს ,,მუქსი“ მონაწილეობენ.

,,სტერეო +ის მიერ საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაციების თანახმად, A+B+2-ზე განაცხადის, A მულტიპლექსზე გავრცელება უფასო იქნება.[15] ხოლო შპს "მუქსის" მიერ წარდგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად,[16] ერთი მგბტ/წმ-ს გავრცელების საფასური შეადგენს თვეში 18 ათას ლარს, რომელიც 20 head-end-ზე გადანაწილებით, უხეში გათვლებით, შეადგენს თვეში დღგ-ს გარეშე 900 ლარს ერთი მგბტ/წმ-ის გავრცელებისათვის. 2 მგბტ/წმ სიმძლავრით გავრცელებისთვის, რაც სტანდარტული დეფინიციით გავრცელებისათვის შეადგენს 1800 ლარს თვეში, ხოლო წელიწადში 21 600 ლარს დღგ-ს გარეშე.

სახეზე გვაქვს გაუგებარი სხვაობა ორი კონკურსანტის მიერ წარდგენილ ტარიფებს შორის. ასევე სახეზეა გავრცელების სიძვირის პრობლემა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ერთი რეგიონული არხის ანალოგური სიგნალის გადაცემა საკუთარ სამაუწყებლო ზონაში 2000 ლარამდე არ აღწევს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი რეგიონული არხის ბრუნვაც კი არ არის წელიწადში 21 600 ლარი.[17]

6. მოსახლეობის მზაობის პრობლემა

2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის დადგენილებით[18] შეიქმნა ციფრული მაუწყებლობის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კოორდინაცია. სააგენტოს პასუხისმგებლობა ასევე ვრცელდება მოსახლეობის ინფორმირებასა და სოციალურად

[14]იხ. <http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2100&info_id=115332>.
[15]იხ. <http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2100&info_id=115401>.
[16] http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2100&info_id=115383
[17] ააიპ " საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის" ინფორმაცია;
[18] იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №118:
<https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2224327&lang=ge>;

დაუცველი ოჯახების სუბსიდიებით ოპტიმალურ უზრუნველყოფაზე, რაც რისივერების კონკურსის ჩატარებასა და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენასაც მოიცავს.

მიუხედავად ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე დარჩენილი მცირე დროისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო თითქმის ხუთი თვეა რაც ფუნქციონირებს, ჯერჯერობით არ დაწყებულა მოსახლეების ინფორმირებულობისკენ მიმართული სამუშაო. სააგენტო არ ფლობს საკუთარ ვებ გვერდს და აქტივობების შესახებ ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე ათავსებს.

მნიშვნელოვანია, აღნიშნოს, რომ სააგენტომ 8 მაისს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის Set top box [19]-ების გამარტივებული შესყიდვის პროცედურა დაიწყო. მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის მიხედვით სახელმწიფომ სწორედ 2015 წლის 17 ივნისამდე უნდა დაასრულოს 70 000 და მასზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების Set top box -ებით უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით პრობლემურია იმ კონტექსტში, რომ საქართველოში სოციალურად დაუცველთა კატეგორიის დიდი ნაწილი სწორედ რეგიონებში მოსახლეობს.

სააგენტოს შესაბამისი განკარგულებიდან[20] ირკვევა, რომ სააგენტო გეგმავს DVB-T/T2 სტანდარტისა და MPEG2/MPEG4 ფორმატის მხარდაჭერის მქონე მიმღებების შესყიდვას, რაც ნიშნავს იმას, რომ სააგენტომ გაითვალისწინა რეგიონული ტელევიზიების უფლების რეალიზება - იმაუწყებლონ MPEG2/ MPEG2 ფორმატით. თუმცა განკარგულების აღნიშნული ჩანაწერი ვერ იძლევა გარანტიას, რომ თუნდაც სახელმწიფო სუბსიდიებით შესყიდული Set top box -ები ავტომატურად მიიღებენ და ეკრანზე ასახავენ რეგიონული მულტიპლექს პლატფორმებიდან მომავალ ციფრულ სიგნალებს. განკარგულებიდან არ ჩანს, რომ სააგენტოს პრიორიტეტია შეისყიდოს ისეთი Set top box -ები, რომლებიც შეძლებენ ყველა მულტიპლექს პლატფორმიდან მომავალი სიგნალის მიღებას, დამახსოვრებას და Set top box -ესის გამორთვისა და ხელახალი ჩართვის შემდეგ ჩვენებასაც.

საგულისხმოა, რომ სახელწმიფო სტრატეგიის მიხედვით, განსაზღვრულია ოჯახებში ტექნოლოგიურად ნეიტრალური Set top box-ების დანერგვა[21], თუმცა სტრატეგიის დონეზე დაკონკრეტებული არ არის, ამ საკითხის დეტალები (მიღების, დამახსოვრების და ასახვის) ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის დონე და ა.შ. საყურადღებოა, რომ სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სპეციფიკაციის Set top box -ებს შორისაც არის სხვაობა, მათ შეუძლიათ მიიღონ ყველა სახის - DVB-T/T2 სტანდარტისა და MPEG2/MPEG4 ფორმატის სიგნალი სხვადასხვა მულტიპლექს პლატფორმის გადამცემებიდან (მულტიპლექს პლატფორმებს შორის დაშორების მანძილი, რაზეც ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით), მაგრამ მათ ნაწილს არ შეუძლია ყველა მიღებული სიგნალის ავტომატური დამახსოვრება და Set top box -ის გამორთვა- ჩართვის შემთხვევაში ხელახლა იქნება მოსაძებნი სხვა მულტიპლექს პლატფორმებიდან მომავალი

[19] Set Top Box - დამატებითი მოწყობილობა, რომელიც უერთდება ტელევიზორს, მაუწყებლობის სიგნალის ციფრულად გარდაქმნისა და გამოსახულების მიღებისთვის.
[20] იხ. <http://economy.ge/ge/projects/saqartvelosi-cifrul-mauwyeblobaze-gadasvla>; - ბოლო ნახვა 22 ივნისი.
[21] იხ. <http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115380>;

სიგნალები, რაც მომხმარებლისგან გარკვეულ ტექნიკურ ცოდნას საჭიროებს. აღნიშნული გაართულებს რეგიონული მედიის კონტენტის ხელმისაწვდომობას მაყურებლებისთვის.

ამ საკითხთან მიმართებით არსებითად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ Set top box -ების ინსტალირების დაგეგმილ დროს (2015 წლის 17 ივნისამდე პერიოდი), ჯერ კიდევ ვერ იარსებებს რეგიონული მულტიპლექს პლატფორმები, რაც ავტომატურად საჭიროს ხდის დაინსტალირებული Set top box -ების ხელახალ პროგრამირებას რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების ამოქმედების შემდეგ, რაც სააგენტოს სამოქმედო გეგმაშიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

სსიპ "ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს" განკარგულების[22] მიხედვით, წინადადებების წარდგენა კომპანიებს 5 ივნისამდე შეეძლოთ. სააგენტოს ასევე, 12 ივნისს უნდა გამოექვეყნებინა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული კომპანიებს სია, თუმცა 24 ივნისის მდგომარეობით ინფორმაცია გამოქვეყნებული არ არის. ასევე, საგულისხმოა, რომ აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის დოკუმენტაციის დიდი ნაწილი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა მომზადებული, რაც აფერხებს ყველა დაინტერესებული მხარისთვის დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

Set Top Box -ებთან დაკავშირებით ბუნდოვანებაა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებული ეროვნული მულტიპლექსების კონკურსის პირობებში. გამოქვეყნებულ ,,კითხვა - პასუხში“ ვკითხულობთ: ,,კითხვა -საკონკურსო პირობების მე–4 მუხლის, პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სეთ–თოფ–ბოქსების“ იმპორტის ან მომხმარებლისათვის მიწოდების შემთხვევაში, აღნიშნული „სეთ–თოფ–ბოქსი“ უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სპეციფიკაციებს.

კომისიისათვის დასმულ შეკითხვაზე გთხოვთ გვაცნობოთ, ა) „სეთ–თოფ–ბოქსები“ –ს შემოტანისათვის საჭიროა, თუ არა სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვება? ბ) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, თუ არა დამატებითი ნებართვებისა და ლიცენზიების მიღების გარეშე განახორციელოს „სეთ–თოფ–ბოქსები“–ს შემოტანა ან\და მომხმარებლისათვის მიწოდება? დაფიქსირდა პასუხი - ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსების“ შემოტანა არ საჭიროებს დამატებით ნებართვას და/ან ლიცენზიას, შესაბამისად ნებისმიერი პირი, მათ შორის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი, უფლებამოსილია განახორციელოს „სეთ-თოფ-ბოქსების“ იმპორტი და მომხმარებლისათვის მიწოდება. „სეთ-თოფ-ბოქსებ“-თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“-ს". [23]

---

[22]იხ. <http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50712&info_id=115380>.
[23]იხ. <http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2100&info_id=115332>.

მოსახლეობისა და მაუწყებელთათვის შესაძლოა დამატებით პრობლემად იქცეს ანძების განლაგების საკითხიც, კერძოდ ანძების ურთიერთდაშორება. დამტკიცებული სტრატეგიის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიპლექსორი სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული შპს "ტელერადოცენტრის"[24] ანძებზე განთავსდება.

ააიპ "რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის" ინფორმაციით ტელერადიოცენტრის მომსახურებით დღეს მხოლოდ რამდენიმე რეგიონული არხი სარგებლობს, ხოლო დანარჩენმა მაუწყებლებმა, ანალოგური მაუწყებლობის რეჟიმში, ტელერადიოცენტრის ანძებიდან მიგრაცია განახორციელეს, რაც დიდ წილად სახელმწიფო საწარმოს მხრიდან დაწესებული მომსახურების მაღალი ტარიფი და მაუწყებლებისთვის შექმნილი არათანაბარი პირობების გამო მოხდა.[25] ის, რომ ტელერადიოცენტრი სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში მუდმივად გამოიყენებოდა სამაუწყებლო მედიაზე ზეწოლის ბერკეტად[26] დადასტურდა პარალმენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის მიერ, რომელიც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობას შეისწავლიდა.

ტელერადიოცენტრის ფუნქციონირების ცუდი პრაქტიკის ფონზე, რეალურია საფრთხე ამ ინფრასტრუქტურის, როგორც მედიაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტის გამოყენებისა, მით უფრო, თუ ტელერადიოცენტრის ინფრასტრუქტურას საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა კერძო როგორც ეროვნული, ისე რეგიონული მულტიპლექს პლაფორმების ოპერატორებიც გამოიყენებენ. სამწუხაროდ, არც ეროვნული და არც რეგიონული მულტიპლექს ოპერატორებს არ აქვთ დიდი არჩევანი, რადგან ციფრული სიგნალების სხვადასხვა კომპანიების გადამცემების სიგნალის მისაღებად მნიშვნელოვანია ციფრული გადამცემები სადგურების ტერიტორიული სიახლოვე, განსხვავებით ანალოგური მაუწყებლებისგან.[27]

ამ ფონზე, პრობლემურია ის გარემოება, რომ არ არის გამჭვირვალე ინფორმაცია ციფრული პლატფორმის მოსამზადებლად ტელეცენტრის მიერ წარმოებული სამუშაოების შესახებ, რისთვისაც ბიუჯეტის თანხა იხარჯება. პროცესის კონტროლის გარეშე, არსებობს საფრთხე ე.წ. ,,გაბერილი“ დანახარჯების, რაც ავტომატურად გააძვირებს ყველა იმ ოპერატორისა და მაუწყებლის მომსახურებას, რომელიც კი სამომავლოდ ტელეცენტრის კუთვნილი ანძებით სარგებლობას გადაწყვეტს.[28]

პარალელურად, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის წევრი კომპანიების გამოკითხვებით ირკვევა, რომ შპს "საქართველოს ტელეცენტრმა" საქართველოს რეგიონებში დაიწყო ანძებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების წარმოება და ზოგ ტერიტორიაზე აზომვაში მოექცა რეგიონული ტელევიზიების კუთვნილი გადამცემი სადგურების ლოკაციის ადგილებიც.

---

[24]ობიექტი 1955 წელს აშენდა და ხალხის, ანუ სახელმწიფოს საკუთრება იყო. ეს სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტია და მის შემადგენლობაში 36 გადამცემი ხაზი და 91 შენობა-ნაგებობაა. მათ შორისაა თბილისის ტელეანძა. ობიექტში ჩართულია 35 სატელევიზიო და 34 რადიო არხი.

[25] იხ. <http://for.ge/view.php?for_id=17706&cat=3>.

[26]იხ. <http://gyla.ge/geo/news?info=549>.

[27] იხ. <https://www.youtube.com/watch?v=nwzP7A7yTY8>.

[28] შენიშვნა: IDFI-მ 2014 წლის მაისში განცხადებით მიმართა შპს "საქართველოს ტელერადიო ცენტრს".

საგულისხმოა, რომ ბაზრის დივერსიფიცირების, მონოპოლიზების თავიდან აცილებისა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრის" ანძების ინფრასტრუქტურის ალტერნატივა, რის რეალური შესაძლებლობა სწორედ რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების ხელშეწყობაში მდგომარეობს.

7. ძირითადი მიგნებები

- რეგიონულ მაუწყებლები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, დროულად შეიმუშაონ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ტექნიკური პროექტი, რადგან ცნობილი არ არის რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების სიმძლავრეები და არც თავისუფალი სიხშირული რესურსის შესახებ ინფორმაციაა სრულად ხელმისაწვდომი.

- მოქმედი კანონმდებლობა არ შეესაბამება სახელმწიფო სტრატეგიას: მათ შორის, რეგიონული მაუწყებლების ხელშეწყობისთვის განსაზღვრულ ამოცანებს. აღნიშნული შეეხება სიხშირული რესურსის უფასოდ გადაცემას, რეგიონული მაუწყებლის დეფინიციის, სავალდებულო დაშვების რეგულაციებისა თუ სხვა საკითხებს. პარალელურად გვიანდება სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნა.

- არც სამთავრობო სტრატეგიიდან და არც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ე.წ. „ჩრდილოვან სამაუწყებლო ზონებთან“ (მაღალმთიანი რეგიონები, ოკუპირებული ზონები) დაკავშირებით.

- მოსახლეების მზაობისა და მულტიპლექს პლატფორმების ურთიერთ თავსებადობის კუთხით კითხვებს ბადებს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს მიერ ე.წ. Set Top Box -ების შესყიდვის პროცედურა და პირობები. ასევე, მოცემულ ეტაპზე, არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო კომპანიის შპს "საქართველოს ტელეცენტრის" მიერ წარმოებული სამუშაოების გამჭვირვალობაც, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ციფრული მაუწყებლობის პლატფორმის ფორმირებაზე.

8. რეკომენდაციები

- **კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ VHF თავისუფალი სიხშირეების პარალელურად, კომერციული მულტიპლექს ოპერატორების შესარჩევი კონკურსის შემდგომ გამოაქვეყნოს რეგიონული მულტიპლექს პლატფორმებისთვის ალტერნატიული UHF სიხშირეებიც,** იმისთვის რომ რეგიონულმა მაუწყებლებმა

შეძლონ დროულად მიიღონ გადაწყვეტილება მათთვის ოპტიმალური ტექნიკური პროექტის შესამუშავებლად და მის განსახორციელებლად.

- **რადიოსიხშირული დაგეგმარებისათვის ტექნიკურად მნიშვნელოვანია, გამოქვეყნდეს გეგმა რეგიონული მულტიპლექს პლატფორმებისთვის მისანიჭებელი სიმძლავრეების შესახებ,** რათა რეგიონულმა არხებმა დროულად შეძლონ მათთვის მისაღებ მოდელზე ჩამოყალიბება, ტექნიკური პროექტების შემუშავება და განხორციელება.

- საჭიროა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაქვეყნოს ოფიციალური ინფორმაცია რეგიონული მაუწყებლებისთვის ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების გამართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, სადაც განისაზღვრება საბოლოო ვადა.

- სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიაში უნდა მოხდეს დარგის ოპერატორების და საკითხზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის ჩართვა;

- **მნიშვნელოვანია, მაუწყებლობის შესახებ კანონში დაკონკრეტდეს ტერმინ ,,რეგიონული მაუწყებლის“ განმარტება.** დღეს მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობა მკაფიოდ არ ახდენს ეროვნული და რეგიონული მაუწყებლების გამიჯვნას და აღნიშნული მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინტერპრეტირებასაა მინდობილი.

- **არსებითად მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დასაშვები გახადოს რეგიონული მულტიპლექს პლატფორმების გამართვის შესაძლებლობა, იქაც, სადაც დღემდე არ არსებობს ადგილობრივი მაუწყებელი.** ასეთია უმეტესად საქართველოს მაღალმთიანეთი: რაჭა-ლეჩხუმი, ხევსურეთი და ზემო სვანეთი, სადაც არ გამოირიცხება ადგილობრივი მაუწყებლობის მსურველის არსებობა.

- ასევე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სახელმწიფოს ხედვა ე.წ. ,,ჩრდილოვან სამაუწყებლო ზონებთან“ დაკავშირებით, იმ კონკრეტულ სოფლებთან და დაბებთან მიმართებით, რომლებიც ანალოგური მაუწყებლობის ზონებში აქამდეც იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ სადაც მაუწყებლობის მიღება იყო შეუძლებელი. მნიშვნელოვანია, შესაბამის ზონაში მაუწყებელი კომპანიებისთვის, თუ ისინი გადაწყვეტენ საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართვას, გამოიყოს რეტრანსლირების და სარელეო სიხშირეები ასეთი ზონების დასაფარად.

- **"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით დაშვებულ უნდა იყოს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის უფასოდ მინიჭების შესაძლებლობა,** რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონული არხებისთვის სიხშირეების უსასყიდლოდ მინიჭება, რაც სამთავრობო სტრატეგიით არის გარანტირებული, კანონსაწინააღმდეგო იქნება.

- **მნიშვნელოვანია, რეგიონული მულტიპლექს ოპერატორებისთვისაც იქნას დაშვებული ფასიანი მომსახურების შეთავაზება მომხმარებლისთვის.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩამოყალიბებული მიდგომა ეკონომიკურად არა მდგრადს ხდის რეგიონული მაუწყებლების მულტიპლექსორების ბიზნეს მოდელს, ასევე მოხდება არსებული სიხშირული რესურსის არაეფექტური გამოყენება.

- სასურველია, არა სასაზღვრო ზონებში არსებულ მაუწყებლებს მიენიჭოთ უფლება, ციფრული პლატფორმის სრულად გამორთვამდე განახორციელონ მაუწყებლობა **ანალოგური პლატფორმით.**

- სასურველი, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სიგნალის მიწოდების ვალდებულების ნაწილში არ გაიმეოროს სავალდებულო ტრანზიტის რეგულაციის პირობებში დანერგილი პრაქტიკა, **რითაც სიგნალის გადასაცემად დადგენილი ბუნდოვანი დაშვების პირობების და გართულებული ტექნიკური სპეციფიკაციების გამო,** დღემდე ვერ ხერხდება მაუწყებელთა ჩართვა არაერთი ოპერატორის მიერ.

- **სასწრაფოდ უნდა შეიქმნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და დაინტერესებული მხარეებისგან შემდგარი ერთობლივი კომისია,** რომელიც იმუშავებს სავალდებულო გატარების ვალდებულებების რეგულაციებისა და ზოგადად მაუწყებლობის მარეგულირებელი კანონების განახლებაზე.

- **მნიშვნელოვანია, გამოიცეს სამართლებრივი აქტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანალოგური მაუწყებლობის სალიცენზიო მოსაკრებლის რეგიონული მაუწყებლისთვის დაბრუნების შესახებ.**

- **მნიშვნელოვანია, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მულტიპლექს A კონკურსანტებს, საკონკურსო პირობების წარდგენის ეტაპზე, დააკისროს ვალდებულება, გამოაქვეყნოს ადგილობრივი სამაუწყებლო ქვეზონებისთვის სატელევიზიო კონტენტის გავრცელების ტარიფი.**

- ყველაზე მისაღებ, ხარისხიან და ოპტიმალურ ფასად ტექნიკური გადაწყვეტის მისაღებად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მულტიპლექს პლატფორმებისთვის საჭირო აპარატურისა და მათი სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით მოხდეს მაუწყებლების გაერთიანება **ამხანაგობის ან სხვა ფორმით**, რომლის მიერაც მოხდება ერთობლივი კონკურსის გამოცხადება, რის შედეგადაც ინტეგრატორ კომპანიას მიეცემა შესაძლებლობა, წარმოადგინოს უფრო მასშტაბური და შესაბამისად უფრო იაფი წინადადება. ასევე, საკითხის ამგვარი გადაწყვეტის შემთხვევაში, არ იარსებებს ამ ქსელების ურთიერთთავსებადობისა და ინტეგრაციის პრობლემები. მაუწყებლების გაერთიანების რეგიონულ ტექნიკური მიმართულების ოფისებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე კონცენტრაცია

ყველა ჩართული ლოკალური მულტიპლექს ოპერატორის ინტერესებიდან გამომდინარე.

- **საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ** სასწრაფოდ უნდა განსაზღვროს საანძო ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო მიწის პრივატიზების პოლიტიკა, ისე რომ სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფი ტელეანძის სიახლოვეს შესაძლებელი იყოს სხვა კერძო სამაუწყებლო ინფრასტრუქტურის ფორმირებაც.